“დინამო” (მოსკოვი) – “დინამო” (თბილისი) 1:1 (1:1)

მოსკოვი. სტადიონი “დინამო”. 20 000 მაყურებელი.

29 სექტემბერი.

მსაჯი : პ. ევდოკიმოვი (ლენინგრადი).

გოლები: 0-1, პაიჭაძე (9), 1-1, იაკუშინი, (38).

“დინამო” მ: სოკოლოვი, კოროტკოვი, კორჩებოკოვი, ლაპშინი, ელისეევი, რიომინი, სემიჩასტნი, იაკუშინი, სმირნოვი, ილინი (კ), პონომარიოვი.

“დინამო” თბ: დოროხოვი, შავგულიძე (კ), ნიკოლაიშვილი, ანიკინი, მინაევი, ჯორბენაძე, პანინი, მ. ბერძენიშვილი, პაიჭაძე, ვ. გ. ბერძენიშვილი, სომოვი.

http://football.mojgorod.ru/cgi-bin/rus/result.cgi?f=v1936a&cl=8

დაამატა: ერლან მანაშევმა.

“დინამო” (ტფილისი) - “დინამო” (მოსკოვი)

29 სექტემბერს მოსკოვის “დინამოს” სტადიონზე 20 ათასი მოსკოველი დაესწრო მეტად საინტერესო ფეხბურთის მატჩს. ტფილისის “დინამოს” გუნდი, რომელმაც ამას წინად მოუგო მოსკოვის “სპარტაკს”, შემოდგომის საკავშირო პირველობაზე თამაშში შეხვდა საბჭოთა კავშირის უძლიერეს ფეხბურთელთა კოლექტივს - მოსკოვის “დინამოს”.

ტფილისის “დინამოს” გუნდს აკლდა ორი ძირითადი მოთამაშე - გაგუა და ასლამაზოვი.

მოსკოვის “დინამოს” გუნდი გამოვიდა თავისი ძირითადი შემადგენლობით მეკარე გრანატკინის გამონაკლისით, რომლის მოგივრადაც თამაშობდა “დინამოს” მეორე გუნდის გოლერი სოკოლოვი.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონი - მოსკოვის “დინამოს” გუნდი ამ დღეს შეხვდა ღირსეულ “მოწინააღმდეგეს”. ტფილისელები თამაშობდნენ ძალიან ტექნიკურად, დიდის ტემპერამენტით და გაბედულად. ტფილისელების საუკეთესო თავდაცვა აკავებს საშიშარ მოსკოვის ფორვარდებს.

თამაში დაიწყო ტფილისელების იერიშებითA და გარღვევებით. ტფილისელები “დააწვენ” მოსკოვის “დინამოს” კარს და სულ მალე ტფილისელების თავდასხმის ცენტრმა - პაიჭაძემ, მიიღო რა ნაპირიდან ბურთი, მძლავრი დარტყმით შეაგდო მოსკოველების ბადეში.

ამ პირველმა გოლმა ტრიბუნებზე მქუხარე ტაში გამოიწვია. მოსკოველები შეეცადენ რევანშის აღებას. მოსკოვის “დინამოს” თავდასხმის შესანიშნავი ხუთეული ამ დღეს რატომღაც ვერ თამაშობდა კარგად, შეწყობილად. მათი კარგად გამოანგარიშებული კომბინაციებიც კი ვერ იძლეოდენ შედეგებს.

საუკეთესოდ თამაშობდა ტფილისელების თავდაცვა, განსაკუთრებით მეკარე დოროხოვი.

პირველი ტაიმის დასრულებამდე სულ რამოდენიმე წუთიღა იყო დარჩენილი, როდესაც მოსკოვის "დინამოს" მარჯვენა ინსაიდმა იაკუშინმა, იხელთა მომენტი და "ყუმბარისებული" დარტყმით შეაგდო ბურთი ტფილისელების კარში.

მეორე ტაიმში ვერც მოსკოველებმა და ვერც ტფილისელებმა ვერ მიაღწიეს უპირატესობას. მიუხედავად წვიმიანი ამინდისა, ატალახებული მოედნისა და დაღლილობისა, მეორე ტაიმში ორივე გუნდმა აჩვენა მეტად ოსტატური თამაში. ორივე კოლექტივი თამაშობდა ერთნაირად კარგად, ენერგიულად, რიხიანად.

როდესაც დასრულდა თამაში, რომელშიაც არ იყო არც გამარჯვებული და არც დამარცხებული (1:1), მაყურებლებმა მხურვალე ოვაციებით დააჯილდოვეს ტფილისელი გუნდი, რომლისათვისაც ყაიმი მოსკოვის "დინამოსთან" არსებითად გამარჯვებას ნიშნავდა.

ტფილისის "დინამოს" კაპიტანმა შავგულიძემ საუბარში განაცხადა, რომ მთელი გუნდი ძალიან კმაყოფილია თავისი შედეგით.

- როდესაც ჩვენ გამოვდიოდით მოედანზე, - სთქვა ამხ. შავგულიძემ, - ჩვენ მოველოდით დამარცხებას, რადგან ვიცოდით, რომ მოწინააღმდეგედ გვყავდა საბჭოთა კავშირის უძლიერესი გუნდი. მიუხედავად ამისა ჩვენ შევეცადეთ ამ შეხვედრაში გამოგვეჩინა მთელი ჩვენი შესაძლებლობა და უნარი.

"ახალგაზრდა კომუნისტი", 2 ოქტომბერი, 1936 წ.